91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი● გამოდის 1933 წლიდან● №19 (7117) 1 ოქტომბერი 2024 წელი

გვახსოვდეს აფხაზეთი! 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა!

27 სექტემბერი საქართველოს უახლოეს ისტორიაში უდიდესი ტკივილის, სოხუმის დაცემის დღეა.

1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებული სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა და სოხუმის დაცემით დასრულდა. დღემდე დაუზუსტებელი მონაცემებით 10-ათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 300 ათასი ადამიანი კი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა.

31 წელი გავიდა და საშინელი, მწარე რეალობის განცდა არა თუ ფერმკრთალდება, მეტ სევდასა და ტკივილს გვრის ყველას, ქვეყნის ბედზე დაფიქრებულ, საღად მოაზროვნეს, ვისთვისაც ძვირფასია თითოეული დაღუპული ადამიანი, სახლ-კარსა და საკუთარ კერიას მოწყვეტილის ბედი, ტერიტორიული მთლიანობა ქვეყნისა...

27 სექტემბერს, ჩვენი სამშობლოს ყველა სახელმწიფო უწყების შენობაზე საქართველოს დროშები დაშვებულია, ასეა თერჯოლაშიც.

დილიდან შეიკრიბნენ ადამიანები ქალაქის ცენტრში, რათა გაიხსენონ, თუმც არასოდეს დავიწყებიათ, პატივი მიაგონ

დაღუპულთა ხსოვნას და კიდევ ერთხელ მიაწვდინონ იმედიანი სიტყვა: დავბრუნდებით...

საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა სკვერში მათ პატივსაგებად მივიდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ როგაბაქიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი, რომლებმაც აფხაზეთის ომის მონაწილე ვეტერანებთან, განათლების, კულტურისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად გვირგვინით შეამკეს დაღუპულთა მემორიალი.

გმირთა პატივგების ცერემონიალს ყვავილებით შეუერთდნენ ეწრის, ჭოგნარისა და ღვანკითის სკოლის დირექტორები თავიანთ თანმხლებ თანამშრომლებთან ერთად.

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებულ ისტორიებს იხსენებენ და დაღუპულ გმირებს პატივს მიაგებენ სიტყვით გამომსვლელები:

მაკა ასათიანი—მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ☞7

როგორ სრულდება ინფრასტრუქტურული პროექტები

მანუჩარ როგაქიძე: სასურველ შედეგებს პასუხისმგებლობის მაქსიმუმის ზღვარზე მუშაობით ვაღწევთ!

თერჯოლის მუნიციპალიტეტს, ქალაქ თერჯოლასა და მის სოფლებს ყოველთვის ჰქონდათ თავისი პეწი და სიკოხტავე...

აქ ყველაფერზე კარგად ჩანს მზრუნველობის კვალი...

არაერთ გამვლელს, სტუმარს უცხოეთიდან თუ სამეზობლოდან მოსულს, მოსწონებია ქალაქი თერჯოლა, მისი შემოგარენი, ჩვენი სანახები...

კარგია, როცა წელს ბევრი რამ შეემატა და მომავალში კვლავაც შეემატება მუნიციპალიტეტს იმ ინფრასტრუქტურული ობიექტების სახით, რაც აგრერიგად სჭირდება ჩვენს მოსახლეობას, ჩვენი ქალაქ-სოფლების კიდევ უფრო გალამაზებას...

წლების წინ რომ ვინმეს ეთქვა—„თერჯოლაში, ერთ წელში 40 მლნ. ლარამდე ღირებულების პროექტები განხორციელდებაო“-ხუმრობა გვეგონებოდა...

მაგრამ ეს დღეს ცხადზე უცხადესი რეალობაა... ☞2

არის ზარალი...

სექტემბრის თვის მესამე დეკადაში, ძლიერმა ქარებმა დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მოსახლეობას. ქარებმა, რომლებიც ზოგჯერ გრიგალისებური იყო ზარალი მოუტანა თერჯოლის მუნიციპალიტეტსაც...

სამწუხაროდ, 30 სექტემბერს, ამგვარ ქარიან დღეს გაჩენილმა ხანძარმა, სოფელ ბარდუბანში, სულ რამდენიმე წუთში მთლიანად გაანადგურა დავით მარგველაშვილის ოჯახის სახლ-კარი, დამხმარე ნაგებობები და სათავსოები, აღებული მოსავალი...

რომ არა მეხანძრე-მაშველთა თავდადება, ხანძარი მეზობელ სახლებსაც გადაწვავდა.

26 ოქტომბერი საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეა!
შეასრულე შენი მოქალაქეობრივი ვალი—მიდი არჩევნებზე!

როგორ სრულდება ინფრასტრუქტურული პროექტები

მანუჩარ რობაქიძე: სასურველ შედეგებს პასუხისმგებლობის მაქსიმუმის ზღვარზე მუშაობით ვაღწევთ!

ბუნებრივია, ასეთი მოცულობის სამუშაოებისათვის მზადებას და მისი განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას, მერიის, მისი სამსახურების, საკრებულოს დეპუტატთა და კონკრეტული თანამდებობის პირების შეთანხმებული და მაღალპასუხისმგებლური მუშაობა სჭირდება.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, მეტად მნიშვნელოვანი მიმართულებით—ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ, გვესაუბრება მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე.

ბატონო მანუჩარ, ჩვენი გაზეთის საშუალებით არაერთჯერ გაგვიჟღერებია ინფორმაცია, რომ მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის ბოლო წლებში გახარჯული სახსრები უპირატესად მზარდია... უფრო დაწვრილებით რას გვეტყოდით.

გეთანხმებით—დიახ, მზარდია და ეს 40 მილიონიც რეალობაა!

გავშიფრავ უფრო დეტალურად—მიმდინარე წელს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა ფონდებიდან და უწყებებიდან სულ განხორციელდება 147 სხვადასხვა მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა ღირებულებაც ჯამში, სწორედ 40 მლნ ლარამდე აღწევს. ამ პროექტებიდან 4 პროექტი გასული წლიდან გადმოვიდა, ასევე, მიმდინარე წელს დაიწყო და მომავალ წელს დასრულდება 3 პროექტი.

შესადარებლად ვიტყვი—მაგალითად, ოთხი წლის წინ, 2020 წელს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სხვადასხვა ფონდებიდან მხოლოდ 7 მლნ. ლარამდე დაიხარჯა, გასულ—2023 წელს, კი მუნიციპალიტეტის მასშტაბით დახარჯული თანხა 20 მლნ. ლარამდეა ანუ შესაბამისად, ინფრასტრუქტურისთვის გასახარჯი წლევანდელი ბიუჯეტი სოლიდურად აღემატება გასული წლის ყველაზე მაღალ მაჩვენებელსაც კი.

ვიცით, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები სხვადასხვა ფონდებიდან და უწყებიდან (რგფ, მგფ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, სტიქია, ადგილობრივი ბიუჯეტი და სხვა) ფინანსდება. გთხოვთ, ჩვენს მკითხველს, დაწვრილებით გააცნოთ თუ რა მდგომარეობაა დღეისათვის ამ მხრივ.

პირველ რიგში, რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტებით დავიწყებ. ამ ფონდიდან, მიმდინარე წელს ძირითადად დაფინანსდა საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები, მაგრამ გამოსაყოფია ქ. თერჯოლაში ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის პროექტი, რომლის ფარგლებში, ამ უმძიმეს მდგომარეობაში არსებულ შენობას უტარდება სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. უკვე მთლიანად გაკეთდა შენობის ფასადები, შეიცვალა სახურავი, კარ-ფანჯრები, მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობა, გაკეთდება ცენტრალური გათბობა და სხვა.

ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობაში უკვე პოპულარული გახდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი, მართალია არც ისე დიდია (690000 ლარი), მაგრამ აქ თავად შესრულებული სამუშაოების შერჩევის პროცესია მნიშვნელოვანი. სასოფლო კრებებსა და მოსახლეობასთან შეხვედრებზე აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას რაიონის თვითმმართველობის ყველა დონის წარმომადგენლები—ეს ერთი და მეორე— ფაქტიურად ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი—ჩვენ შევძელით და მივაღწიეთ, რომ ამ კრებებსა და შეხვედრებზე გადაწყვეტილების მიღებაში მოსახლეობის ჩართულობა არის მაღალი და მოსახლეობამ ირწმუნა, რომ მათი შერჩეული პროექტი აუცილებლად განხორციელდება.

მოსახლეობასთან შეხვედრებზე წელს შეირჩა 63 პროექტი, ძირითადი აქცენტი გაკეთდა საუბნო გზების კეთილმოწყობაზე, სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებაზე, გარე განათების სისტემის, სპორტული მოედნების მოწყობასა და სხვა. ამ ეტაპზე პროექტების უმეტესობა უკვე განხორციელებულია.

ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე მერიამ საინტერესო წინადადებით მიმართა მოსახლეობას, წინადადება ითვალისწინებდა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით სამშენებლო მასალების მზა-ბეტონის მასის, ქვიშის თუ არმირებული კონსტრუქციების მიწოდებას კონკრეტულ სოფელში, სადაც ყველაზე რთულ უბნებზე ბეტონის გზას თავად ადგილობრივები გააკეთებდნენ. ინიციატივა სასოფლო კრების მონაწილეებმა მოიწონეს და ჩვენც შევუდექით მის განხორციელებას. გამოვაცხადეთ ტენდერი საჭირო მასალების შეძენაზე, დაზუსტდა ადგილები თუ რომელ უბანზე უნდა გაკეთებულიყო გზის მონაკვეთები.

თერჯოლის იუსტიციის სახლი. პროექტი

შედეგები საუკეთესო მივიღებთ — ბევრად იაფად, ცხრამეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში ჯამურად სულ გავაკეთეთ 2 836 გრძივი მეტრი, ანუ 3 კმ-დე საუკეთესო გზა, რისთვისაც დავხარჯეთ მხოლოდ 200 000 ლარი. ამ პრაქტიკას მომავალშიც გავაგრძელებთ.

მართალია, მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები ჩვენ უფრო ფართო მასშტაბით მოქმედების საშუალებას არ გვაძლევენ, მაგრამ ყოველწლიურად ვცდილობთ, რომ ხარჯები აქაც გავზარდოთ.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ერთი მეტად მნიშვნელოვანი დიდად სასიკეთო საქმე წამოვიწყეთ. უკვე მესამე წელია სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ შერჩეული ოჯახებისათვის ვაშენებთ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს დადგენილი კატეგორიის ბენეფიციარებისათვის.

გასულ წლებში უკვე აშენებული გვაქვს ასეთი 29 სახლი. ამჟამად ვაშენებთ 12 სახლს.

სულ მალე იზეიმებს ამ სახლებში შესვლას თორმეტივე ოჯახი. იმედია, ამ ოჯახებში ღირსეული მამულიშვილები აღიზრდებიან, ჩვენ კი კვლავაც შევეცდებით, რომ მათ ყოველთვის გავუწიოთ საჭირო თანადგომა, რასაც ვაკეთებთ კიდეც (საყოფაცხოვრებო ტექნიკა, გაზის გამათბობელი და ა.შ.).

წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სხვა პროექტებიც განვახორციელეთ. 8 სოფელში მოეწყო გარე გამოყენების სპორტული ტრენაჟორები, 7 სოფელში კი საბავშვო ატრაქციონები. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ორმული დამუშავების მეშვეობით შეკეთდა ადგილობრივი დანიშნულების ა/ბეტონის საფარიანი გზები. ასევე თითქმის ყველა სოფელში შევიტანეთ მთის ქანი ქვიშა-ხრეშოვანი გზების შეკეთებისათვის.

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ის სახსრები, რაც სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის გამოგვეყოფა სახელმწიფოდან. წელს ამ სამუშაოებისათვის მივიღეთ 1105000 ლარი, რომლის ფარგლებშიც იანვარ-თებერვალში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული კერძო სახლებისათვის შესყიდული იქნა სახურავის მასალები, რაც გადაეცა დაზარალებულ მოსახლეობას. უკვე დაიხურა 5 საერთო და 8 კერძო საცხოვრებელი სახლი. ამჟამად კი 4 ლოკაციაზე მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზის და 2 საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ჩვენს მუნიციპალიტეტში მეტად მნიშვნელოვანი მსხვილმასშტაბიანი პროექტები სრულდება მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) და სხვადასხვა ცენტრალური სახელმწიფო უწყებების დაფინანსებით.

კერძოდ, ქ. თერჯოლაში მიმდინარეობს სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ასევე ითვალისწინებს სოფ. რუფოთისა და ტელეფის მოსახლეობისათვის წყლის მიმწოდებელი ცენტრალური მაგისტრალისა და სატუმბი სადგურის მოწყობას (ბიუჯეტი 15 მლნ ლარი).

დღეის მდგომარეობით ასევე აქტიურ ფაზაშია ქ. თერჯოლაში N1 საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციიო სამუშაოები (4,5 მლნ. ლარი);

დამთავრდა მშენებლობა და სულ მალე განახლდება სააღმზრდელო პროცესი სოფ. ძევრის საბავშვო ბაღში. მის მშენებლობაზე დაიხარჯა 1,2 მლნ ლარი. ასევე, ამავე სოფელში დაიწყო საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა (4,5 მლნ ლარი);

ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ ქ. თერჯოლაში მიმდინარეობს იუსტიციის სახლის მშენებლობა, რომელიც წელსვე დასრულდება.

როგორ სრულდება ინფრასტრუქტურული პროექტები

მანუჩარ რობაქიძე: სასურველ შედეგებს პასუხისმგებლობის მაქსიმუმის ზღვარზე მუშაობით ვაღწევთ!

გულახდილად ვიტყვი—პროცესი, რაც კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტის მომზადებიდან მისი ტენდერამდე მიტანას, ტენდერის ჩატარების შემდეგ გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებას, მის მუშაობაზე ზედამხედველობასა და ამასთან ერთად თანადგომასაც რომ გულისხმობს, ობიექტის დასრულების და ექსპლოატაციაში მიღების ჩათვლით, მეტად რთული და მძიმეა. არ შეიძლება პროცესის არც ერთ ეტაპზე ყურადღების მოდუნება, თორემ ხარისხიც გაგვექცევა ხელიდან და გრაფიკიც ჩაგვეშლება.

ბუნებრივია, როცა გვებადება კითხვა—როგორ აჩვენებენ მუშაობაში თავიანთ სახეს ტენდერში გამარჯვებული კომპანიები, რადგან მათზე, საბოლოო ჯამში, თითქმის მთლიანადაა დამოკიდებული შესასრულებელი პროექტების დროულობა და ხარისხიც...

რომელმა კომპანიებმა გამოიჩინა ამ მხრივ თავი და ასე ვთქვათ, ვინ დაგაღალატათ...

რა თქმა უნდა, არაერთი არასასურველი მდგომარეობა შეგვექმნა ცალკეულ შემსრულებლებთან, მაგრამ ჩვენდა გასახარად, მათი უმეტესობა ღირსეულად ართმევდა თავს საპროექტო სამუშაოებს. შემიძლია დავასახელო კიდეც ასეთი კომპანიები. მაგალითად... სწორედ ასეთი კომპანიები გვაძლევენ იმის საშუალებას შევძლოთ, რომ წლიდან წელში გარდამავალი ობიექტებიც კი ბევრად მოკლე დროში მივიღოთ ექსპლოატაციაში.

რაც შეეხება იმას თუ ვინ დაგვაღალატა—იყო ასეთი შემთხვევებიც, მაგრამ არ მსურს მათი დასახელება, რადგან ამ დარღვევებისათვის ისინი უკვე დაჯარიმდნენ.

***

საბოლოოდ მინდა ვთქვა,—ჩვენ კარგად დავრწმუნდით, რომ სასურველი შედეგების მიღება პასუხისმგებლობის მაქსიმუმის ზღვარზე მუშაობით მიიღწევა.

სწორედ ასეთ დამოკიდებულებას ვითხოვთ ჩვენი სამსახურებიდან, მშენებლებიდან და შედეგებსაც ვღებულობთ. ეს შედეგი კი ასეთია: მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით ყველა პროექტი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში მიმდინარეობს. ამ მხრივ არ ველოდებით არანაირ გართულებებს, პირიქით, მშენებლებთან კონსულტაციების ფონზე გამოიკვეთა, რომ გარდამავალი 13 საგზაო ინფრასტრქტურული პროექტიც კი მიმდინარე წელსვე დასრულდეს.

გისურვებთ წარმატებებს!

ესაუბრა დავით კლდიაშვილი

დიანა ფოცხვერაშვილი: მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს სოციალურად დაუცველთა თანადგომისათვის

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოწყვლადი კატეგორიის კეთილდღეობისათვის ზრუნვა ყოველთვის იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სამსახურების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობის გამორჩეულად გამოკვეთილი მიმართულება.

საკმარისია ითქვას, რომ თუ ამ მხრივ, მუნიციპალიტეტში, სულ რაღაც 5 წლის წინ, მოქმედებდა ... სოციალური პროგრამა, ჯამში... ლარის საბიუჯეტო რესურსით, მიმდინარე წლისათვის უკვე მოქმედებაშია 15 სხვადასხვა სოციალური პროგრამა და ამ პროგრამების ჯამური ბიუჯეტი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 1688500 ლარს, რომელმაც 9 თვის განმავლობაში რამდენჯერმე განიცადა ცვლილება მატების მიმართულებით და დღეის მდგომარეობით მისი მოცულობა 1764000 ლარია.

თუ როგორია ეს პროგრამები, როგორია მათი ბიუჯეტი და მათი შესრულების მდგომარეობა მიმდინარე წლის განვლილ 9 თვეში, გვესაუბრება მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი დიანა ფოცხვერაშვილი:

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ მიმდინარე წლის 9 თვეში, ანუ საანგარიშო პერიოდში, სოციალური პროგრამებით ისარგებლა 4535 ოჯახმა, რისთვისაც გაიხარჯა 1 547 609 ლარი. საგულისხმოა, რომ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურში 2024 წელში შემოსული განცხადებების დიდი ნაწილი ერთჯერადი ფინანსური დახმარების თხოვნითაა, რომლის ბიუჯეტი წლის დასაწყისისთვის იყო 284 000 ლარი. პროგრამაში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება გაიზარდა საკრებულოს განკარგულებებით. გახდა 299500 ლარი ამ სახის დახმარებით ამ პერიოდში უკვე ისარგებლა 2012 ოჯახმა.

ცალკეული პროგრამების მიხედვით კი სურათი ასეთია:

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსების ერთჯერადი პროგრამა“.

ამ პროგრამის ფარგლებში ხდება ოპერაციებისა და გამოკვლევების დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებს თავიანთი შემოსავლების გათვალისწინებით მეორედაც შეუძლიათ ისარგებლობ აღნიშნული პროგრამით. პროგრამის ფარგლებში 9 თვეში გახარჯულია 249 439 ლარი 853 მოქალაქეზე. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 300 000 ლარს.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ ბენეფიციართა დახმარების პროგრამა“.

პროგრამის ბიუჯეტია 100 000 ლარი. მიმდინარე წელს ამ პროგრამით სარგებლობს 32 ბენეფიციარი. თითოეულს თუ შარშან ყოველთვიურად ერიცხებოდა 250 ლარი, მიმდინარე წელში ეს თანხა გაიზარდა 300 ლარამდე.

პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 79800 ლარი.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა“.

ამ პროგრამიდან დახმარება გაეწია ეპილეფსიით და პარკინსონით დაავადებულ 161 ბენეფიციარს. თუ გასულ წელს დახმარების თანხა შეადგენდა 150 ლარს, წელს ეს თანხა გაიზარდა 200 ლარამდე. ასევე გაზრდილია შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტიც და 2024 წელში იგი შეადგენს 32 000 ლარს.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა“.

მერიას დახმარების თხოვნით მომმართა და დახმარება მიიღო ამ კატეგორისს 52 ბენეფიციარმა, ასევე მოიმატა უსინათლოთა დახმარებამ, რომლებსაც ყოველთვიურად ერიცხებოდათ 80 ლარი, 2024 წელს ამ პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 37440 ლარი.

„უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა“.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 40 000 ლარს. ამ პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 20 უსახლკარო ოჯახს, გაზრდილია ყოველთვიური დახმარების ოდენობა. ქალაქისთვის ეს თანხა შეადგენს არაუმეტეს 400 ლარს, ხოლო სოფლისთვის არაუმეტეს 300 ლარს.

„საკვები პროდუქტების დახმარების პროგრამა“.

ამ საკითხზე შესაბამისი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე დახმარება გაეწია 1124 მოქალაქეს, რისთვისაც გაიხარჯა 91100 ლარი. პროგრამის ბიუჯეტია 120 000 ლარი.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა“.

პროგრამის ბიუჯეტია 50 000 ლარი. პროგრამით ისარგებლა 120 ოჯახმა.

გასულ წელთან შედარებით გაზრდილია ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება შესაბამისად პირველ, მეორე, მესამე... ახალშობილზე, ხოლო ტყუპების შემთხვევაში ეს თანხა შეადგენს 1000 ლარს.

„უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა“. ეს პროგრამა ითვალისწინებს ყოფილი უფასო სასადილოს ბენეფიციარების დახმარებას. დარჩენილია 2 ბენეფიციარი, რომლებსაც ყოველთვიურად ერიცხებათ 70 ლარი .

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სახლდაზიანებული მოქალაქეების 2024 წლის დახმარების პროგრამა“.

პროგრამის ბიუჯეტია 634 800 ლარი. პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებენ გადაუდებელ შეკეთებას, ამასთანავე, პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას. მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ბიუჯეტია 540 000 ლარი, ხოლო საცხოვრებელი სახლებისათვის, რომლთა დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებენ გადაუდებელ შეკეთებას, ბიუჯეტი განსაზღვრულია 94 800 ლარით. საანგარიშო პერიოდში შეკეთდა 74 სახლი.

ყველაზე მნიშვნელოვანი—მუნიციპალიტეტში წარმატებით მიმდინარეობს ინდივიდუალური სახლების მშენებლობა შესაბამისი კატეგორიის ოჯახებისათვის. მათთვის 2024 წელს აშენდება და რეალიზაციაში გადაეცემა 12 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად დახმარებას იღებენ ფენილკეტონურიით დაავადებული მოქალაქეები, რომელთა დახმარება შეადგენს 300 ლარს და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვიანი ოჯახები, რომელთა დახმარება 2024 წელში გაიზარდა და გახდა 150 ლარი. ამ პროგრამაში ბიუჯეტია 30 000 ლარი.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის პროგრამა“. ამ პროგრამის ბიუჯეტია 55 000 ლარი. თუ გასულ წელს ამ პროგრამით ისარგებლა 46 მარტოხელა მშობელმა, წელს ეს რაოდენობა გაიზარდა 55 -მდე. მათ ყოველთვიურად ერიცხებათ 100 ლარი.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის პროგრამა“. მის ფარგლებში ისარგებლა შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე 9 ბენეფიციარმა.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში სარიტუალო მომსახურეობა გაეწია 4 უპატრონო მიცვალებულს.

„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამა“.

პროგრამის ფარგლებში 1000 ლარიანი დახმარება გაეწევა ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს (დედა/მამა, მეუღლე).

კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურეობის თანხით, რომელიც განხორციელებულია მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, დახმარება გაეწია 3 გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახს, თითოეულს 250 ლარით.

ასევე აღსანიშნავია, რომ თერჯოლის მერიისა და სოციალური სამსახურის ორგანიზებით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 70 წელს გადაცილებულ მარტოხელა მოხუცებს სააღდგომოდ გადაეცათ სურსათი.

ჩვენ ყველანი ერთად, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა, მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებთ და მომავალშიც გავაკეთებთ სოციალურად დაუცველთა თანადგომისათვის, ყოველმხრივ შევეცდებით, უყურადღებოდ არ დაგვრჩეს არცერთი ოჯახი თუ ცალკეული პიროვნება, რომელიც ამ თანადგომას საჭიროებენ.

წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ!

„მადლობა თავდადებისათვის“... და კიდევ „მადლობა სიყვარულისათვის“...

ზაფხულის მხიარული არდადეგების შემდეგ საჯარო სკოლებში სწავლის დაწყების პირველი დღე განსაკუთრებით ემოციური, ლამაზი და დაუვიწყარია თითოეული მოსწავლისათვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამს სასკოლო ცხოვრებაში... მაშინ კი, როცა ეს დღე უფროსებმა ისეთ დღესასწაულად აქციეს, როგორც ეს ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში მოხდა, მისი ხიბლი მარად დაუვიწყარ მოგონებად გაჰყვება თითოეულ მოსწავლეს და არა მხოლოდ მოსწავლეს. სწავლის დაწყების პირველი დღე ამ სკოლის თითოეულ ახლანდელ თუ წინა წლების პედაგოგს, დირექტორს, ტექნიკურ მუშაკს, მუდამ ემახსოვრებათ და შეახსენებს თითოეულს იმ უდიდეს პასუხიმგებლობას, რაც სკოლის, თითოეული მოსწავლის, ქვეყნის მომავლის წინაშე აკისრიათ...

16 სექტემბერს ადრე გაიღვიძა თერჯოლამ, დილის 9 საათზე კი №2 საჯარო სკოლის ეზოში უკვე ტევა არ არის. ეს დღე ყველასია, უკლებლივ: მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის, თითოეული გულშემატკივრის...

მონატრებული შეხვედრები, მოკითხვები...

ბედნიერი და ღიმილიანი სახეები... პირველკლასელთა ცნობისმოყვარე და მომლოდინე თვალები...

და ვიდრე ისინი საკლასო ოთახებში გადაინაცვლებენ, სახელდახელო სცენაზე, მიკროფონის ირგვლივ შეკრებილან პედაგოგები, დილის ღონისძიების წამყვანები, აქ არიან სკოლის დირექტორები ქალბატონი რუსუდან უსუფაშვილი და ახლად არჩეული დირექტორი ფიქრია დემეტრაშვილი.

2024-2025 სასწავლო წლის სწავლის დაწყების საზეიმო დილას და ახალი დირექტორის წარდგენის ღონისძიებას ესწრებიან წარსულში ამ სკოლაში მოღვაწე პედაგოგები: დემირი დოლაკიძე, პენსიონერი პედაგოგი, თერჯოლის საპატიო მოქალაქე, ლამარა გოგიაშვილი, პენსიონერი პედაგოგი, თამარ ღარიბაშვილი, სამხატვრო სკოლის დირექტორი, ირინა გურგენიძე, ესწრებიან აგრეთვე სკოლის კურსდამთავრებულები...

ახალი სასწავლო წლის დაწყების მისალოცად ღონისძიებას უერთდებიან მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, განათლების რესურსცენტრის დირექტორი ქეთევან შეყრილაძე, საკრებულოსა და მერიის სხვა წარმომადგენლები, რომლებმაც პირველკლასელებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

თეა რიჟამაძე: მოგესალმებით ძვირფასო სტუმრებო, ზუსტად 47 წლის წინ, კარიბჭე, რომელიც ახლა ფართოდაა გაღებული, პირველად გაიხსნა მოსწავლეებისათვის და დიდ, ლამაზ ისტორიას დაუდო სათავე... ისტორიას თერჯოლის მეორე საჯარო სკოლა ჰქვია... 47 წლის შემდეგ არც ერთი იმჟამინდელი პედაგოგი სასკოლო პროცესში ჩართული აღარაა, თუმცა მათთან კავშირს გამუდმებით ვგრძნობთ... ბევრი ჩვენგანის ისტორია კი ჩვენს დაბადებამდე განსაზღვრა სწორედ იმ დღემ... 47 წელი თითქმის ნახევარია საუკუნის და ეს დრო საკმარისი იყო იმისათვის, მეორე საჯარო სკოლას საკუთარი ხელწერა, ტრადიცია და მიზნები განესაზღვრა... ეს არის სკოლა, რომელიც ამაყობს ნაყოფიერი წარსულით, სკოლა, რომელიც პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ მისიას აწმყოში და რუდუნებით შესცქერის მომავალს... მომავალი კი აუცილებლად უკეთესი უნდა იყოს.

სოფო სიუკაევა: დღეს თერჯოლის მეორე საჯარო სკოლაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დღეა: „მადლობა თავდადებისათვის“—ასე ვუწოდეთ ღონისძიებას, რადგან მიგვაჩნია, რომ ჩვენი სკოლის გამორჩეული წარსული, გზა, რომელმაც ჩვენ აქამდე მოგვიყვანა უდიდესი თავდადების შედეგი იყო. სიმონ გაბრიჭიძე, ნარგიზ ცქიფურიშვილი, ია რობაქიძე, რუსუდან უსუფაშვილი—ის ადამიანები არიან, რომელთა თავდადებამ, პროფესიონალიზმმა, საქმის სიყვარულმა კოლექტივთან ერთად შექმნა მეორე სკოლის სახე. ვთვლით, რომ ყველა თაობამ უნდა იცოდეს მათ შესახებ. ამიტომ გადავწყვიტეთ, დღეს კიდევ ერთხელ, ხმამაღლა, ყველას გასაგონად გვეთქვა მათთვის—მადლობა თავდადებისათვის!

სკოლაში ტრადიცია გრძელდება, ქალბატონი ფიქრია დემეტრაშვილი ღირსეულად გააგრძელებს მათ დაწყებულ გზას და კიდევ ერთ საინტერესო ფურცელს ჩაწერს ქალაქ თერჯოლის მეორე საჯარო სკოლის ისტორიაში...

შეკრებილ საზოგადოებას, მოსწავლეებსა და პედაგოგებს მიესალმებიან საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი ქეთევან შეყრილაძე, შემდეგ კი ქალბატონი რუსუდან უსუფაშვილი, რომელიც ბოლო 12 წელი წარმატებით ხელმძღვანელობდა სკოლას და არაერთი ლამაზი დღე, მოვლენა, ფაქტი მიითვალა. მის მიერ ისე, როგორც მის წინამორბედთა დამოძღვრილი თაობები დღეს წარმატებით მოღვაწეობენ, ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც კი.

ქალბატონ რუსუდანს პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად აპლოდისმენტებით აჯილდოვებენ...

დროშის აღმართვის დროც დგება. ეს საპატიო მისია წილად ხვდა სკოლის კურსდამთავრებულს, მერის წარმომადგენელს საკრებულოში სოსო ჩაფიჩაძეს და სწავლისა და სპორტის წარმატებულ X კლასის მოსწავლეს დავით რობაქიძეს, რომელიც კარატეში 48 ოქროს, 5 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედლის მფლობელია. აღნიშნული მედლები საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებში აქვს მოპოვებული, ჩინებულად თამაშობს ჭადრაკს და აქაც აქვს ჯილდო. ამჟამად ფეხბურთითაა გატაცებული და კარგად ფლობს სპორტის ამ სახეობას. დღეს დავითი ქუთაისის ტორპედოს ცენტრალური თავდამსხმელია, ემზადება გახდეს პროფესიონალი ფეხბურთელი და ითამაშოს პრესტიჟულ გუნდებში...

საქართველოს ეროვნული ჰიმნისა და აპლოდისმენტების ფონზე საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართულია...

ამონარიდი ახლადდანიშნული დირექტორის გამოსვლიდან.

ფიქრია დემეტრაშვილი, თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დირექტორი: მოგესალმებით, მინდა მადლიერების გამოხატვით დავიწყო, მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერს ბატონ მანუჩარ რობაქიძეს, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ბარათაშვილს, თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ ქეთევან შეყრილაძეს მის გუნდთან ერთად და ყველა მოწვეულ სტუმარს, რომ ჩვენს გვერდით ხართ და იზიარებთ ჩვენს სიხარულს.

მოგესალმებით ძვირფასო მოსწავლეებო, მშობლებო, პედაგოგებო, ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და უკლებლივ ყველას გისურვებთ, რომ ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობიანი და წარმატებების მომტანი თითოეული ჩვენთაგანისათვის. განსაკუთრებით ვეფერები და ვულოცავ სასწავლო წლის დაწყებას ჩვენს პირველკლასელებს, რომლებიც დღეს ჩვენი სკოლის კარს პირველად შემოაღებენ, რათა სრულყოფილი ცოდნა სწორედ აქ მიიღონ. ამ ცოდნით კი, როცა დაფრთიანდებიან, ჩვენს ქვეყანას ემსახურონ და ღირსეული მამულიშვილები გახდნენ. მადლობა ნდობისათვის.

ახლა წამყვანები სცენაზე იწვევენ სიმონ გაბრიჭიძის ქალიშვილს, მანანა გაბრიჭიძეს, ნარგიზ ცქიფურიშვილის წარმომადგენელს, მაშო ხუხუნაიშვილს, ია რობაქიძეს და რუსუდან უსუფაშვილს. თითოეულს სპეციალურად დამზადებული სიმბოლური ჯილდოს გადაცემის და მადლიერების კიდევ ერთხელ გაცხადების მისია მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ქეთევან შეყრილაძემ, მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა გიორგი ბარათაშვილმა და საკრებულოს დეპუტატმა ელისო მურადაშვილმა შეასრულეს.

ღონისძიება ულამაზეს ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ ნომრებთან ერთად გრძელდება. უნდა ითქვას, რომ მოცეკვავეთა და მომღერალთა გუნდების შემადგენლობათა უმრავლესობა ამ სკოლის მოსწავლე ან კურსდამთავრებულია.

წამყვანები საუბრობენ სკოლის აღზრდილთა წარმატებულ და საამაყო საქმიანობაზე.

ტკივილითა და მოწიწებით გაიხსენეს ვანო ხუხუნაიშვილი და ლაშა გოგიაშვილი. იმ დღეს ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის სამოქალაქო განათლების კაბინეტი და მემორიალური დაფაც გაიხსნა სკოლაში, ხოლო სკოლის შესასვლელ ფოიეში მოეწყო სტენდი, სადაც სკოლის ოთხივე დირექტორის სახელებია აღბეჭდილი.

ტრადიციულად მე-12 კლასელებმა 42 პირველკლასელი (ორი ჯგუფი) წითელი ხალიჩით შეიყვანეს საკლასო ოთახებში...

და ყველაფერი ამით არ დასრულებულა. იმ დღეს საღამოს ისევ სადღესასწაულოდ შეიკრიბნენ სკოლის პედკოლექტივი და სტუმრებთან ერთად ულამაზესი დასამახსოვრებელი წუთები აჩუქეს ერთმანეთს და საკუთარ თავს.

ისევ და ისევ მადლობა თავდადებისათვის დირექტორებს: სიმონ გაბრიჭიძეს, ნარგიზ ცქიფურიშვილს, ია რობაქიძეს და რუსუდან უსუფაშვილს... მათ ბიოგრაფიულ შტრიხებს წარადგენდნენ პედაგოგები: მაია ცხელიშვილი, სოფო სიუკაევა, მადონა ჩხიკვაძე და დარეჯან მემანიშვილი. იმავე საღამოს ია რობაქიძე ასეთ სამადლობელს დაწერს ინტერნეტ სივრცეში:

ია რობაქიძე: „ვიცი არც ამდენი დამიმსახურებია, მაგრამ უზომოდ მეამაყება თქვენს გვერდით დგომა და თბილი სიტყვები. მეამაყება ყველა ის დღე, რომელიც თქვენთან ერთად გამიტარებია!

მეამაყება ეს სიმბოლური და მნიშვნელოვანი ჯილდო, ამიტომ არ შემიძლია არ გავუზიარო ის დანარჩენ საქართველოს.

დაუვიწყარი იყო ეს დღეც, სკოლის ეზოში ჟრიამულით დაწყებული ბრწყინვალე საღამოთი დასრულებული!

მადლობა თავდადებისთვის კი არა,—
მადლობა ნდობისთვის,
მადლობა დაფასებისთვის,
მადლობა სიყვარულისთვის!

მადლობა ყველას—სტუმრებს და მასპინძლებს, დღის ორგანიზატორებს და წამყვანებს, მიმღერალ-მოცეკვავე გოგო-ბიჭებს, რესურსცენტრის უფროსს, ქეთევან შეყრილაძეს, თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ბატონებს მანუჩარ რობაქიძეს და გიორგი ბარათაშვილს თბილი სიტყვებისათვის. მადლობა სუფრის უბადლო თამადას, გურამ თურქაძეს, რომელმაც ჩვენი ემოციები საოცარ სიტყვებად აქცია.

და ბოლოს მადლობა და სიყვარული ჩემს ნარგიზ მასწავლებელს, ნარგიზ ცქიფურიშვილს, რომლისგანაც გაკვალული გზებითაც დავდივართ მისი მოსწავლეები ცხოვრებასა თუ პროფესიაში!

წარმატებები ჩემს მეორე სკოლას, რომლისადმი ნათქვამი ყველა სიტყვაც უფერულია გრძნობებთან შედარებით!

წარმატებები სკოლის ახალ ხელმძღვანელს, ფიქრია დემეტრაშვილს და მის მუდმივად განახლებად, მაგრამ მარად მეორესკოლელობის ნიშნის მატარებელ გამორჩეულ კოლექტივს!“

მზია ცქიფურიშვილი

წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ!

სურვილი—გაკვეთილი საინტერესო, შემეცნებითი, სახალისო

ქვ. ალისუბნის საჯარო სკოლაში, ქუთაისის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ისტორიის სპეციალობაზე, მაგისტრატურაში, საქართველოს ისტორიის განხრით სწავლისას ხშირად წარმოიდგენდა თავს მასწავლებლის როლში. „მიყვარდა ეს პროფესია, მაგრამ სულ სხვა ემოცია და განცდა იყო, როცა პირველად, ნამდვილად ჩავატარე გაკვეთილი. ახლაც მახსოვს ჩემი ოდნავი მღელვარება და მოსწავლეების ინტერესიანი თვალები“—თქვა ჩვენთან საუბარში კერძო სკოლა „მზეკაბანის“ ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ელენე კუტივაძემ.

ელენეს სურვილი ყოველთვის იყო მის მიერ ჩატარებული გაკვეთილები ყოფილიყო საინტერესო, შემეცნებითი და სახალისო, ამისათვის იყენებს სხვადასხვა აქტივობებს, სლაიდებს, რუკებს, ფილმებს, კითხვარებს, ვიქტორინებს, პროექტებს, რათა გაკვეთილი იყოს ორიგინალური და რაც მთავარია მოსწავლეებისათვის საინტერესო. ჩაატარა კიდეც ელენემ ასეთი გაკვეთილი საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტის ფარგლებში, გახდა ერთ-ერთი გამარჯვებული. მის მიერ ჩატარებული ღია გაკვეთილი—ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები უძველესი დროიდან დღემდე—ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ასე შეაფასა კომპეტენტურმა კომისიამ და მქონდა საშუალება მეც დავსწრებოდი ელენეს გაკვეთილს, „როგორც კი ცნობილი გახდა, რომ „მზეკაბანს“ წილად ხვდა ჩინეთი, უმალვე გამახსენდა ლაო ჯინ ჯაო და ჩაის პირველი კულტურა საქართველოში, მაშინ ვიფიქრე, რომ მხოლოდ ამ თემატიკაზე საუბარი მოსაწყენი იქნებოდა, ამიტომ მოსწავლეებთან ერთად მოვიძიე ინფორმაცია ჩინეთ-საქართველოს კავშირებზე უძველესი დროიდან დღემდე“—და მოაწყვეს ექსკურსია აჭარაში, მოინახულეს ჩაის სპეციალისტის სახლი ჩაქვში და მუზეუმი ბათუმში, იქვე ჩაწერეს ვიდეო რეპორტაჟი, ხოლო საგაკვეთილო პროცესის გალამაზებისათვის გაეცვნენ ჩინურ კულტურას, ტრადიციებს, შეიკერეს ჩინური ეროვნული სამოსი, გამოიწერეს მათი დეკორაციები, დადგეს ცეკვები, ისწავლეს ჩინური სასაუბრო სიტყვები და სიმღერები, დარგეს ჩაის ბუჩქი ქოთანში და გაახარეს...

გაკვეთილის მიზანი ნათელი იყო—საქართველოში მცხოვრები ეროვნებების გაცნობა და ტოლერანტობის გაძლიერება, ქვეყნის ისტორიის შესწავლა.

როგორ წარიმართა გაკვეთილი

მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოადგინეს პრეზენტაციები, ისაუბრეს აბრეშუმის გზის მნიშვნელობასა და საქართველოს როლზე, როგორც ისტორიული მნიშვნელობის ქვეყანაზე აბრეშუმის გზაზე, აღნიშნეს ისიც, რომ თბილისი აკონტროლებდა მთელ კავკასიას და შესაბამისად აბრეშუმის დიდი გზის ამ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს, ამიტომ საქართველო სხვა იმპერიების სამიზნე ხდებოდა. პრეზენტაციის ნაწილს წარმოადგენდა ჩაის კულტურა საქართველოში. მოსწავლეებმა იციან, რომ ჩაის სამშობლო ჩინეთია, ჩაის გზა შორეული ჩინეთიდან საქართველოსკენ ხანგრძლივი აღმოჩნდა. ის თანდათან გავრცელდა ჯერ აზიის ქვეყნებში, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში, ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობდა. მოსწავლეები საინტერესოდ ჰყვებოდნენ ჩაის კულტურის გამოჩენაზე საქართველოში, 1770 წელს, როდესაც რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ ერეკლე მეორეს სამოვარი და ჩაის სერვიზი აჩუქა. საქართველოში ჩაის კულტურის გაშენება ლაო ჯინ ჯაოს უცდია, ამ საქმის ასაღორძინებლად იგი 1893 წელს ჩინეთიდან აჭარის ზღვისპირეთში ჩამოსულა, ცხრა ჩინელ ჩაის სპეციალისტთან ერთად. ისტორიული წყაროებიდან მასწავლებელმა და მოსწავლეებმა გაარკვიეს თვით ლაოს ნათქვამი, რომ მხოლოდ ერთი, ისიც გარკეული მიზეზის გამო დაბრუნებულა ჩინეთში, ხოლო დანარჩენი ბათუმში დაღუპულან მალარიით. ამ დროისათვის ლაოს ჩინეთიდან ჩამოუტანია რამდენიმე ათასი ჩაის ორიგინალური ნერგი და ასობით ფუთი ჩაის თესლი. ერთდროულად მუშაობა დაუწყია სამ მამულში და სამ წელიწადში დიდი რაოდენობის ჩაი მოუყვანია. ამის შემდეგ ჩქარი ტემპით წასულა საქმე წინ და თან წარმატებით. 1900 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე ლაო ჯინ ჯაოს გამოყვანილ ჩაის ოქროს მედალი მოუპოვებია—„მსოფლიოში საუკეთესო კავკასიური კონსტანტინ პოპოვის ჩაისთვის“. მის სახელს უკავშირდება ჩაქვში ორანჟერიისა და ჩაის გადამამუშავებელი პირველი ფაბრიკის შექმნა—ამ და სხვა კითხვებზე პასუხობდნენ მოსწავლეები და ბევრი რამ იციან ჩინეთზე. მოსწავლეებმა ისაუბრეს ქართველებზე, რომლებიც ჩინეთში, ქალაქ ხარბინში ცხოვრობდნენ, ეს ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, მანჯურიაში მდებარეობს და იქ რუსეთის იმპერიიდან გაქცეული და გადასახლებული სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, მათ შორის ქართველებიც ცხოვრობდნენ. ხარბინში ცხოვრობდა და იქვეა დასაფლავებული ცნობილი მეცენატი, წარმოშობით ლეხაინდრაოელი (მარტვილი) ივლიანე ხაინდრავა, რომელიც ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას 1890-1893 წწ. ანარქისტებს მიემხრო, რადგან რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება არ ჰქონდა, ჩინეთში გადავიდა. წინასწარ გაიგო, რომ ჩრდილო ჩინეთში, ქ. ხარბინში იმპერიიდან გაქცეული სხვა გადასახლებულებიც ცხოვრობდნენ. 1908 წელს ივლიანე ხაინდრავას უშუალო მონაწილეობით ხარბინში დაარსდა ქართული სათვისტომო, რომლის თავმჯდომარე გარდაცვალებამდე თავად იყო.

მისი ინიციატივით დაარსდა კლუბი, ქართულენოვანი ბიბლიოთეკა და სკოლა, ურთიერთდამხმარე სალარო, რომლითაც იმპერიიდან ახლად ჩამოსულებს ეხმარებოდნენ. ივლიანე ხაინდრავა 30 წელი ხელმძღვანელობდა ხარბინის ქართულ კოლონიას, მისი ხელმძღვანელობით არაერთი საზოგადოებრივი და კულტურული დაწესებულება დაარსდა, იგი იყო წარმატებული მეწარმე, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი და მეცენატი. ვრცლად იყო საუბარი გენერალ გიორგი სიდამონიძის შესახებ, ის ჩინეთის არმიაში 1993-45 წლებში მსახურობდა. მიღებული ჰქონდა ჩინეთის არმიის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება, იქ მას გენერალ სიდამას სახელით იცნობდნენ.

გაკვეთილზე აჩვენეს ვიდეორეპორტაჟი ლაო ჯინ ჯაოს სახლ-მუზეუმიდან, გაესაუბრნენ ჩინელ „სტუმარს“ ჩინურ ენაზე, შეასრულეს ჩინური ცეკვები და სიმღერები, მოეწყო ჩინური ჩაის დეგუსტაცია. არ გამორჩენიათ ჩინეთ-საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობა ეკონომიკური და საგანმანათლებლო კუთხით, ისაუბრეს ქვეყნების დელეგაციების ერთმანეთთან შეხვედრების მნიშვნელობაზე, მასშტაბურ პროექტებზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნების განვითარებას.

* * *

ბევრი რამ ჩაიტია ერთმა გაკვეთილმა, სტუმრებმა მაღალ დონეზე შეაფასეს გაკვეთილი, რაც, როგორც ელენე მასწავლებელმა თქვა—მისთვის არის სტიმულის და მოტივაციის მომცემი.

* * *

გაკვეთილი შეაფასა კომპეტენტურმა კომისიამ და ჩათვალა იგი ერთ-ერთ საუკეთესოდ.

მეც შთაბეჭდილებით სავსე დავბრუნდი. სხვების არ ვიცი, მაგრამ მინდა ვაღიარო, რომ ბევრი ახალი გავიგე ჩინეთისა და საქართველოს უძველესი დროის ურთიერთობაზე. დღეს არსებულ ვითარებაზე, რაც ზედმეტ-ნაკლებად ბევრისათვის არის ცნობილი.

არ მინდოდა გაკვეთილის მოკლე, შეძლებისდაგვარი ანალიზის მარტო მოსმენილით გადმოცემა და „იძულებული“ გავხდი მეც მომეძია მასალები ჩინეთზე—მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, მოსახლეობაზე და ბუნებაზე, ეკონომიკაზე, მსოფლიოსთან მის დამოკიდებულებაზე, კულტურაზე, სხვადასხვა წლებში მის მმართველებზე, უდიდეს ქალაქებზე, დინასტიაზე, კულტურულ რევოლუციაზე, რელიგიაზე... რისთვისაც მეც მადლობელი ვარ ელენესი...

* * *

ელენე ჯერ ახალგაზრდაა, დიდი გზა აქვს გასავლელი, როგორც პედაგოგიური, ისე ცხოვრებისეული, ოჯახური. ჰყავს მეუღლე და ჯერჯერობით ერთი შვილი.

ბედნიერება და წარმატება მას.

ჟუჟუნა ცხადაძე

ორწლიანი ვიზიტით სკოლაში, მშვიდობის კორპუსი და ბანაკი

რამდენიმე წელია, ტრადიციულად, სიქთარვის საჯარო სკოლაში (დირექტორი ია კვატაია) სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებისათვის საზაფხულო ბანაკი ეწყობა და ყოველწლიურად იკვეთება მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი, მშობელთა ჩართულობა, აქტივობების სიმრავლე და მრავალფეროვნება.

გამონაკლისი არც 2024-2025 სასწავლო წლის დაწყების წინა პერიოდი იყო.

2021-2022 წელს მშვიდობის კორპუსმა თანამშრომლობითი ურთიერთობა გააფორმა სიქთარვის საჯარო სკოლასთან. ხელშეკრულება ითვალისწინებს ამერიკელი მასწავლებლის ორწლიან ვიზიტს სკოლაში.

ამერიკელი მასწავლებლის მოვალეობაა დაეხმაროს სკოლას საჭიროებებიდან გამომდინარე, განახორციელოს სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტები, ბანაკები თუ კლუბები. სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა ამერიკელი მოხალისე მასწავლებელი სთერნ სვეთნე (იგივე სოსო).

სოსომ მალე შეისწავლა სკოლის საჭიროებები ადგილობრივი მასწავლებლების სოფიკო ვაშაკიძის და ნინო გვენეტაძის დახმარებით, ერთობლივად დაიწყეს ზრუნვა საზაფხულო ბანაკის მოსაწყობად. სოსომ კარგად იცის ქართული.

სკოლის დირექტორის ია კვატაიას ჩართულობით შესწავლილ იქნა და გაიწერა ყველა დეტალი, რა, როგორ უნდა განხორციელებულიყო. პროექტი დაფინანსდა მშვიდობის კორპუსის მიერ და შეირჩა 20 მოსწავლე (10 გოგონა, 10 ბიჭი), რომლებიც გადამზადდნენ ლიდერული უნარების ამაღლების მიზნით და მალევე დაიგეგმა ადგილობრივი ბანაკის გახსნა.

ბანაკის პირველი დღე განსაკუთრებით საინტერესო იყო. ბანაკში გაერთიანებული 200 მოზარდიდან ბევრი იყო სხვადასხვა ქალაქებიდან და რეგიონებიდან, სოსომ ადრიდან დაიწყო ფიქრი არაფორმალური განათლების ფარგლებში საზაფხულო ბანაკის განსახორციელებლად, სკოლის დირექტორისა და პედაგოგების დახმარებით, მისმა პროექტმა-ლიდერული უნარების განვითარების შესახებ წარმატებას მიაღწია, სწორედ ამიტომ დაჯილდოვდა პროექტი.

მშვიდობის კორპუსის ორგანიზაციის დირექტორმა, პროგრამების მენეჯერმა, ამერიკელმა მოხალისე მასწავლებელმა, სხვადასხვა რეგიონებიდან მაღალი შეფასება მისცეს ბანაკის მუშაობას.

მომავალი ზაფხულის ბანაკს დღეიდან ეყრება საფუძველი—ბანაკი ისევ გაიხსნება, უფრო მრავალფეროვანი, უფრო საინტერესო აქტივობებით.

ბანაკის პირველ დღეს სტუმრად მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები იმყოფებოდნენ, აღსანიშნავია მშობელთა ჩართულობა და ინტერესი, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ბანაკის დახურვის დღეს, მათ დაინახეს თავიანთი შვილების შესაძლებლობები, შეფასება მისცეს ლიდერების მიერ დაგეგმილ ყველა აქტივობას, მადლობა გადაუხადეს ორგანიზატორებს შემეცნებით-გასართობი ღონისძიებებისათვის და ამ საქმიანობაში მათი შვილების მონაწილეობისათვის.

☞8

დავით კლდიაშვილი—162



„ჩემს შემოქმედებას ვუძღვნი მათ ხსოვნას, ვინც გული სიყვარულით გამითბო, მასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა. არაფერი შეფერადებული არ იქნება, მხოლოდ სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში“.

დავით კლდიაშვილი
„ჩემი ცხოვრების გზაზე“

დავით კლდიაშვილი, სიამაყე სრულიად ქართველთა

დიდი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის დაბადებიდან 162, ხოლო გარდაცვალებიდან 93 წელი გავიდა. მიუხედავად დროის სიშორისა ხალხი არ ივიწყებს საყვარელ მწერალს, რომელმაც შთამომავლობას დიდი განძი დაუტოვა თავისი შემოქმედების და ცხოვრების წესის სახით.

ამაყია თერჯოლა, ამაყია თითოეული სიმონეთელი იმით, რომ აქ, ამ პატარა, თუმცა, ულამაზეს სოფელში დაბადებულმა და გაზრდილმა დავით კლდიაშვილმა სიმონეთი მთელ მსოფლიოში გახადა ცნობილი, ხოლო მისმა ნაწარმოებთა გმირებმა კი დაიპყრეს მსოფლიოს სცენები.

მკითხველს დავითის ბიოგრაფიითა და შემოქმედების განხილვით არ გადავღლით, რომელიც არაერთხელ დაწერილა ამ გაზეთის ფურცლებზე, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სინამდვილის უბადლო მსახურმა, სახალხო მწერალმა, დრამატურგმა, საზოგადო მოღვაწემ და ოფიცერმა მეტად რთული გზა განვლო ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ პატარა, 9 წლის ბიჭუნა კიევის სამხედრო სასწავლებელში აღმოჩნდა, სამი წლის შემდეგ დაბრუნებულმა დედასთან საუბარი ვეღარ შეძლო თარჯიმანის გარეშე, ქართული დავიწყებული ჰქონდა...

შემდეგ ისევ კიევი, შემდეგ კი მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი, 1882 წელს კი 20 წლისა „პორუშჩიკის“ ჩინით გაიგზავნა ბათუმში...

ყველგან, სადაც კი მუშაობდა და მოღვაწეობდა დავითი, ბათუმსა თუ ქუთაისის თვითმმართველობაში, ჭიათურის შავი ქვის წარმოებაში და ა.შ. მისთვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, ქართველი ხალხის დახმარება, მათი კეთილდღეობა იყო და არავის აძლევდა უფლებას მათი აბუჩად აგდებისა.

რაც შეეხება დავით კლდიაშვილის შემოქმედებას, რომლის დატევა სულ 2 კრებულს შეუძლია, თუმცა, როგორც გალაკტიონი ბრძანებს: რომ არ ყოფილიყო დავითი მსოფლიო ლიტერატურას უდიდესი განძი დააკლდებოდა, მსოფლიოსათვის დაუხატავი დარჩებოდა სოლომონი, ბეკინა, პლატონი, დარისპანი და ულამაზესი კაროჟნა“... ჭეშმარიტად...

ვინ იყვნენ ეს ადამიანები? ესენი იყვნენ დავითის უსაყვარლესი გმირები, რომლებიც იბრძოდნენ ცხოვრებაში თავიანთი ადგილის დასამკვიდრებლად, მაგრამ როგორ ახერხებდნენ ამას მკითხველი თავად განსჯის.

ერთი რამ უდავოა, ქართველთათვის საამაყო წინაპრის, დავით კლდიაშვილის სახელი და შემოქმედება მარადიულ ფასეულობად დარჩება ქართულ მწერლობაში და რაც დრო გავა კიდევ მეტი ინტერესი გაჩნდება მის განუმეორებელ ნაწარმოებთა და პერსონაჟთა მიმართ... ეს იმიტომ, რომ მის „პროზაში ისეა შემონახული საქართველო, როგორც არსად, ყველაზე ნამდვილი, გაუპრანჭავი, გულწრფელი და ტკივილიანი“...

მზია ცქიფურიშვილი

მწერლის დაბადების დღეს მიეძღვნა

„ადამიანებისადმი სიყვარულით სავსე“ მოთხრობების ავტორი, დიდი ჰუმანისტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ამასთან, რუსეთის იმპერიის სამხედრო მოხელე, პოლკოვნიკის ჩინიანი, ვიწრო მუნდირით „დამშვენებული“ დავით სამსონის ძე კლდიაშვილი. ასეთია უცხო თვალისათვის ადვილად დასანახი პორტრეტი მწერლისა.

დავით კლდიაშვილის გახსენება ერთბაშად აცოცხლებს ჩვენს წარმოდგენაში მხატვრულ სამყაროს, იმ გმირებს, რომლებიც მწერალს შეუქმნია. ასე გვგონია თვითონ შევხვედრილვართ მის მიერ წარმოდგენილ ადამიანებს, მათი წუხილის თუ სიხარულის მოწმე ვყოფილვართ.

გაღატაკებული იმერული აზნაურის ყოფა-ცხოვრება აირჩია დავით კლდიაშვილმა თავისი შემოქმედების ძირითად მასალად და ეს გაღატაკებული, ისტორიის მიერ ულმობლად განწირული აზნაური გახდა მისი შემოქმედების, მისი ქმნილებების მთავარი გმირი.

მწერალი თვითონ იყო დაბადებული და აღზრდილი იმერეთის გაღარიბებული აზნაურობის წრეში და ზედმიწევნით ორგანულად იცნობდა ამ წრის ადამიანებს, მათ სულისკვეთებას და ყოფა-ცხოვრებას.

ღრმა ჰუმანურობით, ადამიანებისადმი სიყვარულისა და თანაგრძნობის კეთილშობილური გრძნობით არის გამსჭვალული დავითის შემოქმედება.

ჭეშმარიტად მას სრული უფლება ჰქონდა ეთქვა: „ყველაფერი, რასაც ვწერდი ადამიანებისადმი სიყვარული მაწერინებდა“.

ნამდვილი იმერეთი ჩვენ დავით კლდიაშვილმა დაგვანახა. იგი როგორც შემოქმედი, პირისპირ შეერწყა იმერეთს. როდესაც ხელთ ვიღებთ დავით კლდიაშვილის წიგნს, არ შეიძლება არ გაიფიქრო: აი კლდიაშვილი, განუმეორებლად მეტყველი თავისებური სტილით მწერალი. არ შეიძლება არ გაგახსენდეს პაოლო იაშვილის სტრიქონები: „და გადაიქცა ეს იმერეთი არაბულ ზღაპრის დაბოლოებად“.

ღონისძიება, რომელიც 13 სექტემბერს გაიმართა საჯარო ბიბლიოთეკაში, ბუნებრივია მოიცავდა მწერლის სულისკვეთებას, მის მრწამს, თუ შემოქმედების ძირითად ლაიტმოტივს.

სტუმრებმა დაათვალიერეს გამოფენა, რომელიც მწერლის დაბადების 162 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო ბიბლიოთეკაში.

ღონისძიება გახსნა და სტუმრებს მიესალმა საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ლალი ცქიფურიშვილი. მან, ვიდრე ღონისძიება დაიწყებოდა სტუდენტობა და დამდეგი 2024-2025 სასწავლო წელი მიულოცა აქტიურ მკითხველებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს და წარმატებები უსურვა თითოეულს. ერთ-ერთი მათგანი ვინც ღონისძიებას ესწრებოდა იყო ძევრის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი, ვახო მეფარიძე.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქ. თერჯოლის №1 და №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები: ელენე გურაბანიძე, თამარ ლაღიძე, ელენე ბუცხრიკიძე, ლალი მაკარიძე, თიკა კოვზირიძე, ელენე ზარნაძე. თითოეულმა საინტერესოდ წარმოადგინა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ეპიზოდები. გააცოცხლეს და შთამბეჭდავი სურათი შექმნეს დიდი მწერლის უკვდავი ქმნილებების თუ პერსონაჟების ირგვლივ, რითაც კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქეს ბიბლიოთეკაში შეკრებილ საზოგადოების წარმომადგენლებს.

მადლობა **მათ.**

დარეჯან კვატაია,
თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკის წამყვანი ბიბლიოთეკარი

P.S. სახალხო მწერლის დაბადების დღესთან დაკავშირებით სხვა არაერთი ღონისძიება გაიმართა მისი სახელობის სკოლაში, სახლ-მუზეუმში და ა.შ.

ოქტომბრის თვეში მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის სააქტო დარბაზში, ამავე ცენტრის ორგანიზებით გაიმართება ლიტერატურული საღამო დავით კლდიაშვილის ცოვრებასა და მოღვაწეობაზე.

პირობები ბაგა-ბაღში კარგია, მოლოდინი უკეთესი

ერთი კვირით გვიან განახლდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი სიქთარვის ბაგა-ბაღში, იყო საპატიო მიზეზი—კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა სამზარეულოს, შემოიზიდა ახალი ჭურჭელი, მაგარი ინვენტარი, თეთრეული, მოეწყო პირველადი დახმარების „აფთიაქი“, შეძენილ იქნა მრავალი სათამაშო ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის, განახლდა და მიმზიდველი გახდა ეზო...

ბაგა-ბაღის დირექტორმა ანიკო ფანჩულიძემ, აღმზრდელ-პედაგოგებმა, მშობლებმა „ათასი“ მადლობა თქვეს მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ბაგა-ბაღის გაერთიანების მისამართით.

ბაგა-ბაღს სისტემატურ დახმარებას უწევენ ბაღის აღზრდილები კახი კვატაია, ვალერი სირბილაძე, მათი ძალისხმევითაცაა, რომ ეზო კეთილმოწყობილია და ამ სილამაზისათვის კომუნალურმა მეურნეობამ ეზოს აქტივობის გამო ბაგა-ბაღს დრამატული სცენა დაუმზადა.

ქალბატონმა ანიკომ დეტალურად გაიხსენა ყველა დახმარება, რაც ბაგა-ბაღს სხვადასხვა წლებში გაუწია სოფლის მკვიდრმა, რაიონში კარგად ცნობილმა მიშა ვერულაშვილის შვილიშვილმა, ახლა თბილისში მცხოვრებმა, კონსტანტინე ვერულაშვილმა, მისი საჩუქარია მუსიკალური ცენტრი, პლაზმური ტელევიზორი და სხვა. უახლოეს დღეებში მიიღებენ საველე კარავს ეზოს წყნარი კუთხისათვის.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი აქ 23 სექტემბერს დაიწყო 44 აღსაზრდელით, მათ შორის 15 პირველად მივიდა ბაღში, დედებს და ბებიებს „მიწეპებული“ პატარები, 10 მზაობის ჯგუფშია, ისინი მიიღებენ განათლებას, რაც პირველ კლასში წარმატებული სწავლისათვის გამოადგებათ.

და იყო ორმოცდაოთხი ბავშვი, ამაზე ბევრად მეტი მათი ოჯახის წევრები—დედები, მამები, ბებია-ბაბუები, და იყო სავსე ულამაზესი ეზო...

ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაწყება მიულოცეს: მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ზვიად ბაზაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, მაჟორიტარმა დეპუტატმა ჯემალ ისაკაძემ, მერის წარმომადგენელმა სოფელში გიზო ხანიაშვილმა, ბაგა-ბაღის გაერთიანების დირექტორმა მაია თორთლაძემ. იყო მერიის საჩუქარი—საბავშვო წიგნები.

„მშვიდად იყავით მშობლებო, თქვენი შვილები საიმედო ხელშია“—ითქვა და უნდა ირწმუნო, ერთად შეკრული შრომისმოყვარე კოლექტივის მიზანი ერთია—მომზადებული თაობის აღზრდა—გამოიკვეთა აზრი და სურვილი, რომ ახალი, თანამედროვე მოთხოვნების ბაღია საჭირო, რაც გათვალისწინებულია არც თუ შორეული წლებისათვის. მანამდე კი პატარა სიქთარველები მართლაც საიმედოდ არიან.

ჟუჟუნა ცხადაძე

გვახსოვდეს აფხაზეთი!
27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა!

1☜

უფროსი, გიორგი ბარათაშვილი—საკრებულოს თავმჯდომარე, მირანდა ჟორჟოლაძე—ეწრის საჯარო სკოლის დირექტორი, გიორგი ლილუაშვილი—აფხაზეთის ომის მონაწილე, თერჯოლის ვეტერანთა სამსახურის ხელმძღვანელი, თადარიგის პოლკოვნიკი, ინგა ხუჯაძე —ჭოგნარის საჯარო სკოლის დირექტორი, ვასილ ტყეშელაშვილი—სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების თერჯოლის განყოფილების უფროსი, ქეთევან შეყრილაძე— განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი, მანუჩარ რობაქიძე—თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი.

ღონისძიების დასასრულს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლის (ხელმძღვანელი ზურაბ რიჟამაძე) მიერ ლამაზად შესრულებული, გულში ჩამწვდომი სიმღერები აფხაზეთზე...

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, შეკრებილ საზოგადოებასთან ერთად ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან მიიტანეს გვირგვინი, სადაც ცერემონიალი ისევ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელთა სიმღერით დასრულდა...

იმავე დღეს, კულტურის სახლის სააქტო დარბაზში, ყველამ ერთად ნახა ჟურნალისტ თომა ჩაგელიშვილის ფილმი: „სოხუმის უკანასკნელი დღე“—რომლის ნახვა ტკივილისა და ცრემლის გარეშე წარმოუდგენელია...

სოხუმის დაცემის დღე განსაკუთრებული ტკივილით და დაღუპულ გმირთა მიმართ პატივისგებით აღინიშნა ძევრის საჯარო სკოლაში. დირექტორმა მანუჩარ ფანჩულიძემ სკოლის პედკოლექტივთან და მოსწავლეებთან ერთად წუთიერი დუმილით და მოგონებებით მადლიერება გამოხატეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მამულს შეწირული ვაჟკაცების მიმართ.

მზია ცქიფურიშვილი

26 ოქტომბერი საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეა!
შეასრულე შენი მოქალაქეობრივი ვალი—მიდი არჩევნებზე!

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო უბნების უმრავლესობაში კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდება.

იმ მიზნით, რომ არჩევნების დღეს, ყველა უბანში ტექნიკურმა საშუალებებმა და საარჩევნო პერსონალმა შეფერხებების გარეშე იმუშაოს, თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისია თანმიმდევრულად ანხორციელებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გაწერილ ღონისძიებებს.

თერჯოლაში ხმის მიცემა ელექტრონულად მოხდება 24 უბანში. 6 უბანში კი ჩვეულებრივი—ძველი წესით.

ჩვენ აღნიშნულ საკითხებზე უკვე გვქონდა გამოქვეყნებული ვრცელი ინტერვიუ საოლქო კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონ ნაზი სირაძესთან.

რუბრიკით—რა უნდა ვიცოდეთ, ვაქვეყნებთ პასუხებს ცალკეულ კითხვებზე.

რა უნდა ვიცოდეთ:

— ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ხმის მიცემის წესს ეხება. ამომრჩეველმა საკუთარი არჩევანი ბიულეტენზე შემოხაზვის ნაცვლად გააფერადებით უნდა დააფიქსიროს. <u>შემოხაზული ბიულეტენი ხმის მთვლელი მანქანისთვის ბათილი ბიულეტენია.</u>

საარჩევნო ბიულეტენები დასკანერდება, გაციფრულდება, შესაბამის პლატფორმაზე აიტვირთება და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

— ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ამომრჩეველთა რეგისტრაცია, ხმის დათვლა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით წარიმართება.

— ხმის მთვლელ მანქანას აქვს უნარი, მონაცემები სწრაფად დაამუშაოს და ხმების გადათვლის დასრულების შემდეგ „ჩეკი დაბეჭდოს“, სადაც წერია, ვინ რამდენი ხმა მიიღო (ე.წ. წინასწარი შედეგები).

ამის მიუხედავად, გადამოწმების მიზნით, გაიხსნება ელექტრონული საარჩევნო ყუთი და უბანზე ხმების ხელით, „ძველი მეთოდით“ მაინც დაითვლება.

თუ აპარატისა და ხელით დათვლილი მონაცემები ერთმანეთს არ დაემთხვა, ოქმში ეს აისახება და უპირატესობა ხელით გადათვლის შედეგად მიღებულ შედეგებს მიენიჭება.

— ელექტრონული არჩევნების გამო საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩევლებს რეგისტრატორის მაგიდებზე სამაგიდო სიები (უბანზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელითა და გვარებით) აღარ დახვდებათ. ეს სია ვერიფიკაციის აპარატებში ელექტრონულად იქნება ჩატვირთული.

ამომრჩეველთა სიები გაკრული იქნება საარჩევნო უბნების შესასვლელებთან - ამ სიაში იქნება აღნიშნული სახელი და გვარი და საარჩევნო უბნის ნომერი.

თუ რაიმე მიზეზით (მოხუცი ხართ და ვერ გადაადგილდებით ან ავად ხართ) საარჩევნო უბნამდე ვერ მიდიხართ, შეგიძლიათ გადასატანი საარჩევნო ყუთი მოითხოვოთ.

— წელს პირველად არამხოლოდ უბანზე მისულ ამომრჩეველს, არამედ გადასატანი ყუთის სიაში მყოფ მოქალაქეებსაც მოუწევთ მარკირების გაკეთება - სხვა შემთხვევაში მას არ მისცემენ ხმის მიცემის უფლებას.

— ამ შემთხვევაშიც საჭიროა თქვენი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და პასპორტი. მას შემდეგ, რაც თქვენს პირად ნომერს გადასატანი ყუთის სიაში არსებულ პირად ნომერს შეადარებენ, თქვენ შეძლებთ გააკეთოთ არჩევანი.

— იმ უბნებზე მიმაგრებულ გადასატან ყუთებზე, სადაც ამომრჩეველი ხმას აძლევს ელექტრონულად, ახალი წესით დაბეჭდილი ბიულეტენები მივა, სადაც შემოხაზვის ნაცვლად სასურველი პარტიის ასარჩევად გაფერადება იქნება საჭირო.

— უბანზე დაბრუნებულ გადასატან ყუთში ბიულეტენები ისეთი კონვერტებით იქნება ჩაყრილი, რომ ვერავინ გაიგებს, ვის მისცა ამომრჩეველმა ხმა.

— თუ ისე მოხდა, რომ უბანზე მიხვედით, მაგრამ ან გადაწყვეტილებას ვერ იღებთ ან მხედველობის პრობლემა გაქვთ და ბიულეტენს ვერ ავსებთ, დახმარებისთვის შეგიძლიათ მხოლოდ თქვენს შემდგომ ამომრჩეველს მიმართოთ.

არც კომისიის წევრს, არც დამკვირვებელს ან პარტიის წარმომადგენელს ასეთ დროს, ზეწოლის საფრთხის გამო, დახმარება არ შეუძლია.

კეთდება გოდოგნის ჭიჭინაძეები-ბრეგაძეების საუბნო გზა

სოფელ გოდოგანში დაიწყო ჭიჭინაძე-ბრეგაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია. საავტომობილო გზის კეთილმოწყობის სამუშაოებს შპს „გიან-2011” აწარმოებს. პროექტი გარდამავალია და 2025 წელს დასრულდება.

საავტომობილო გზის კეთილმოწყობის სამუშაოები ამ დღეებში მუნიციპალიტეტის მერმა დაათვალიერა. მონიტორინგზე მანუჩარ რობაქიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.

გიწვევთ ოლიმპიზმის დღეზე

2024 წლის 6 ოქტომბერს, 13:00სთ-ზე, გიწვევთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ძევრის - საგვარჯილეს ტურისტული ცენტრის სივრცეში, საქართველოში სპორტისა და ოლიმპიზმის 35-ე საიუბილეო წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. პროგრამაშია:

— ოლიმპიური გარბენი;

— ძველი წელთაღრიცხვის პალეოლითური და ნეოლითური ხანის სპორტული სახეობების იმიტირებული წარმოდგენა;

— სპორტული აქტივობები ჭადრაკში, მინი-ფეხბურთში, ხელბურთში, კლდეზე ცოცვაში;

— ქუთაისისა და თერჯოლის საჯარო სკოლების მონაწილეობით პერფომანსი „ოლიმპიური სპორტი საქართველოში“;

— ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების ფოტო - გამოფენა ;

— ოლიმპიური სპორტის ნუმიზმატური გამოფენა;

— მხატვრების—ქრისტინე რობაქიძის და მარიამ ბარდაველიძის ნამუშევრების გამოფენა ;

ღონისძიების ორგანიზატორები: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია, სეოკ-ის იმერეთი ქუთაისის რეგ-ლი ორგანიზაცია;

ღონისძიების მხარდამჭერები: იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

გიორგი პატარიძე
(გახსენება)

სიქთარვის, თბილისის 99-ე, ქუთაისის 41-ე, თერჯოლის №2 საჯარო სკოლებში გამორჩეული იყო სწავლით, ყოფაქცევით, შრომისმოყვარეობით. უყვარდათ ეს კარგი მეგობარი, გამტანი და უღალატო. სკოლიდან სკოლაში მისი ეს „მოძრაობა“ ოჯახურ პირობებს უკავშირდებოდა. სწავლობდა იქ, სადაც მშობლები—მშვენიერი ქალბატონი ეთერი და ზაზა პატარიძეები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ.

გიორგი და მისი და იზაბელა, რომელიც ახლა თბილისში, მეუღლესთან და ორ შვილთან მიხეილთან და ნინასთან ცხოვრობს, სიყვარულის გარემოცვაში იზრდებოდნენ, მშობლები სწავლის, შრომის, სამშობლოს სიყვარულს შთააგონებდნენ.

გიორგი უმაღლესი განათლებით იყო. დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქ. ქუთაისში კომპანია „დაგში“, საავტომობილო გზების დეპარტამენტში, სადაც დიდი გამოცდილება დააგროვა. 2024 წლიდან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მუშაობდა ინჟინრად.

ადრე წავიდა გიორგი პატარიძე, 31 წლის ასაკში გარდაიცვალა, ვერ დატოვა შთამომავლობა, შვილების, შვილიშვილების, მათი შვილების მუხლებზე დასმის სიამოვნება არ განუცდია, ვერ წაუკითხა მათ ზღაპარი მშვენიერი მზეჭაბუკის გმირობაზე, ეშმაკ და გონიერ ნაცარქექიაზე, ცხრათავიან დევებზე...

სრულიად ახალგაზრდა წავიდა, სიყვარულით იყო გარემოსილი და უამრავი მეგობრის და ახლობლის გულში ნათელი კვალი დატოვა. ვერაფერს ვიზამთ, უფლის ნება ყოფილა ასეთი, მორჩილებით მისაღები ნება.

ბოლო ათი წელი სიქთარვაში ცხოვრობდა მშობლებთან ერთად. უყვარდათ და პატივს სცემდა სოფელი, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ყველგან, სადაც უმუშავნია, ყველგან აყენებდა საქმიან წინადადებებს, რომელსაც ითვალისწინებდნენ.

გიორგის საფლავი მშობლიურ სოფელშია, სული კი სასუფეველში იქნება დამკვიდრებული და ახლა იქიდან, უფლის წიაღიდან მოგვიწოდებს, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს ქვეყანა და ყველაფერი, რაც კეთილშობილია, რაც საამაყოა, რაც მართალი და კეთილია, ამაღლებული და მშვენიერია.

„სიკვდილი სევდაა, ადამიანად არყოფნის სევდა“. მშვიდობით იყავი შენ სევდასთან და შენ მყუდრო ძილში, გემსუბუქოს მშობლიური სიქთარვის მიწა... ნათელი და სანთელი გიორგი!

მეგობრები

ორწლიანი ვიზიტით სკოლაში, მშვიდობის კორპუსი და ბანაკი

მონაწილენი გერმანიიდან და პოლონეთიდან

ამ ზაფხულს, სიქთარვაში სტუმრად იმყოფებოდა გერმანიაში მცხოვრები მოსწავლეები დავით ვახტანგაძე და პოლონეთში მცხოვრები ალექსანდრე ქანთარია, მათი ფესვები საქართველოშია და დიდი ინტერესით მიიღეს მონაწილეობა ბანაკის მუშაობაში, კარგად იციან ქართული და მოიხიბლნენ ბანაკის ხუთდღიანი ცხოვრებით, თქვეს, რომ მომავალ წელსაც ჩამოვლენ საქართველოში, თავიანთ სამშობლოში, ბებია-ბაბუებთან და სიქთარვის სკოლასაც ესტუმრებიან.

ლიდერთა ლაშქრობა გოგნში

საზაფხულო ბანაკის ხუთდღიანი პროცესი წარმატებით განხორციელდა, მაღალი შეფასება მიეცა—მშვიდობის კორპუსის დირექტორმა თქვა, რომ ყველა სკოლაში, სადაც პროგრამას ვახორციელებთ, მაგალითად, როგორც საუკეთესო სკოლა და ბანაკი, სიქთარვას ვასახელებო. ეს სტიმულია და აჩენს სურვილს უკეთ მუშაობისათვის. წელს განსხვავებული იყო ის, რომ ბანაკის ლიდერებისათვის დაიგეგმა ლაშქრობა გოგნში, აქ კიდევ ერთხელ შეჯამდა ლიდერთა მუშაობა, ბანაკის მნიშვნელობა.

ლაშქრობა მუნიციპალიტეტის მერიამ, სოფლის მკვიდრმა კახი კვატაიამ დააფინანსა.

აი, რა თქვეს ბანაკის ლიდერებმა

მარიამ ფოფხაძე, სიქთარვის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე. დღევანდელ სამყაროში რთულია ახალი ადამიანების გაცნობა და მათთან კომუნიკაციის დამყარება. სწორედ მსგავსი ბარიერების გადალახვაში გვეხმარება ბანაკები. ისინი ტოვებენ ხანგრძლივ შთაბეჭდილებებს, ნათელ მოგონებებსა და გრძნობებს. ყოველდღიური რუტინისგან განთავისუფლება, ბუნებით გარემოცულ ადგილას ყოფნის მღელვარება და ახალ ადამიანებთან შეხვედრა დაუვიწყარ მოგონებებს ქმნის. კარგად გვახსოვს გაცნობისა და „სიმორცხვის“ პირველი დღე, ბანაკის ბოლო დღეს ისეთი განცდა გვქონდა, თითქოს მთელი ცხოვრებაა ერთმანეთს ვიცნობთ. აქტივობები, რომლებსაც ერთობის გარეშე ვერ გავუმკლავდებოდით, სიცილის ხმები, რომელიც ყოველ წუთს გაისმოდა, გახდა სწორედ ის ფონური ხმა, რომელიც ასე ძალიან გვჭირდებოდა. როდესაც ბანაკი დასრულდა, ის ადგილი სხვაგვარად გვეჩვენებოდა, არა იმიტომ, რომ თვითონ ადგილი შეიცვალა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ შევიცვალეთ. დღესაც კი სიყვარულით ვხვდებით ერთმანეთს და ვიხსენებთ იმ დაუვიწყარ დღეებს, რომელიც სიქთარვის სკოლის საზაფხულო ბანაკში გავატარეთ.

სალომე ფანჩულიძე, ჩხარის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე. სიქთარვის საზაფხულო ბანაკი 5 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, სადაც ორასი ბავშვი იღებდა მონაწილეობას. დაყოფილი 10 გუნდიდან ერთ-ერთ გუნდს, რომლის ლიდერებიც საბა ქარჩხაძე და მე, სალომე ფანჩულიძე, ვიყავით, სახელად „ვიკინგები“ ერქვა ჩვენი სიძლიერისა და ბრძოლისუნარიანობის გამოსახატად. მეორე დღე დილის გამამხნევებელი ვარჯიშებით დაიწყო, ასევე ლიდერთა ჩართულობით ჩატარდა თამაში, სახელად „პინგვინი“, რომლის მიზანიც გუნდის წევრების უფრო გააქტიურება და ლიდერების მხარდაჭერა იყო, ასეთი ხასიათის აქტივობებისთვის გვქონდა გარდამავალი თასი, რომელიც პირველად სწორედ ჩვენ, ვიკინგებმა დავიმსახურეთ, დანარჩენი დღეები უფრო შემოქმედებით-გასართობ და საგანმანათლებლო ხასიათს ატარებდა. გვქონდა აქტივობა მსოფლიოს, საქართველოს კუთხეების, ქართული ფილმების დღე, რაც ძალზედ საინტერესოდ წარიმართა. ჩვენი გუნდი საუკეთესო სამეულში ყოველთვის იყო და მოტივაციაც არ გვაკლდა. გუნდის ლიდერები მაქსიმალურად ვცდილობდით გამოგვეკვეთა მონაწილეების შესაძლებლობები, მოგვეხსნა მათთვის კომპლექსები და მიეღოთ დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, გვყავდა ბევრი უცხო თუ უცხოელი სტუმარი და ვფიქრობთ, მათაც შთაბეჭდილებებით დატვირთული დღეები ჰქონდათ. ამ შესაძლებლობისთვის უდიდეს მადლობას ვუხდით ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ბანაკის ორგანიზებაში, განსაკუთრებული მადლობა სკოლის დირექტორს.

ედი კვატაია, თბილისის მე-10 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე. ბანაკი, ეს ჩვენთვის ცნობილი პიროვნული განვითარების ერთგვარი შესაძლებლობაა. ბანაკში ჩვენ ვისწავლეთ ხალხთან კომუნიკაცია, ურთიერთობების ჩამოყალიბება, დამოუკიდებლობა, ახალი მისწრაფებების აღმოჩენა და, რაც მთავარია, მივიღეთ განათლება. ეს ყველაფერი გვეხმარება ჩვენი პიროვნული განთვითარებისთვის. ამ ბანაკში მოდიან უმცროსი და 18 წლამდე ბავშვები და სწავლობენ დამოუკიდებლობასა და ურთიერთობას. აუცილებელია ხალხის დამოკიდებულებაც და გარემოც, რათა ბავშვმა, პირველ რიგში, თავი კომფორტულად იგრძნოს და იყოს თავისუფლად და გახსნილი ხალხის მიმართ. აქედან იწყება ბავშვის ჩამოყალიბებაც. ბანაკში უამრავი გასართობი აქტივობაა და, ვთვლი, რომ ყველა ჩვენგანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა.

მარი ისაკაძე, სიქთარვის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე. სიქთარვის საჯარო სკოლაში რამდენიმე წელია საზაფხულო ბანაკები იმართება და ყოველ წელს ამ ბანაკებში ყოფნა უფრო და უფრო საინტერესო ხდება, რაც ჩვენი ამერიკელი მეგობრების დამსახურებაცაა. დილას ვიწყებდით ვარჯიშით, რასაც ენერგიაზე მოჰყავდა ბავშვები. ბანაკში სულ 10 გუნდი იყო. მეათე გუნდის ლიდერები ვიყავით: მარი ისაკაძე, ნინი სულამანიძე და გიორგი ბაბუაძე. თითოეული გუნდის დავალება იყო შეერჩიათ გუნდისთვის სახელი და აეხსნათ, თუ რატომ დაარქვეს ეს სახელი. დანარჩენი 4 დღე მიმდინარეობდა როგორც პროექტების წარდგენა, ისე სახალისო, საინტერესო და მხიარული თამაშები. ჩემთვის ეს 5 დღე ნამდვილად დაუვიწყარი იყო, გავიცანი უამრავი ბავშვი, შევიძინე ახალი მეგობრები, საუკეთესო დღეები იყო ჩემთვის, ლიდერების დაუღალავი შრომის დამსახურებაა, რომ ასეთი საინტერესო და დაუვიწყარი 5 დღე ვაჩუქეთ ბავშვებს. ასევე მადლობა ჩვენი სკოლის დირექტორ, ქალბატონ ია კვატაიას და პედაგოგებს.

ანი ისაკაძე, სიქთარვის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე. სიქთარვის საჯარო სკოლაში უკვე რამდენიმე წელია, რაც საზაფხულო ბანაკები იმართება და ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი ადამიანი სტუმრობს, განსაკუთრებით კი ზაფხულის პერიოდში, რათა არ გამოტოვონ ბანაკის საინტერესო, მხიარული და ნაყოფიერი დღეები. წელს ბანაკში ბავშვთა რაოდენობა 200-მდე იყო. სულ 10 გუნდად ვიყავით დაყოფილი. თითოეულ გუნდს 2-3 ლიდერი ჰყავდა. მე, ანი ისაკაძე და ათუკა მაჩიტიძე მე-3 გუნდის ლიდერები ვიყავით. ყოველ დილას ვარჯიშის შემდეგ მხიარულ თამაშს, „პინგვინობანას“ ვთამაშობდით. დანარჩენი 4 დღე, პირველ დღეზე გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა. 4 დღის განმავლობაში განვახორციელეთ სხვადასხვა აქტივობები, მაგალითად, საქართველოს კუთხეებზე, ქართულ ფილმებზე და ქვეყნებზე. ყველა ცდილობდა წარმოედგინათ თავიანთი თავი ორიგინალური ნომრებით. ლიდერები ყველანაირად ვეხმარებოდით გუნდის წევრებს თითოეული ნომრის განხორციელებაში. დარწმუნებული ვარ, ბანაკის 5 დღე ნაყოფიერი იქნება ყველა იმ მონაწილისთვის, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები იმ აქტივობებში, რომლებიც განვახორციელეთ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვისაც სიქთარვის საზაფხულო ბანაკის ორგანიზებაში მიუძღვის წვლილი. მადლობა ყველა პედაგოგს, ჩვენს ძვირფასს დირექტორს, ია კვატაიას და სოსოს.

ანა ბებიაშვილი, ზესტაფონის მე-7 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე. 2024 წლის სიქთარვის საზაფხულო ბანაკი, სრულიად ახალი გამოწვევა იყო ჩემთვის. 2016 წლიდან აქტიური მონაწილე ვარ ამ შესანიშნავი ბანაკის, თუმცა წელს ახალ ამპლუაში მომიწია მონაწილეობის მიღება, ამჯერად არა მხოლოდ მონაწილე, არამედ ლიდერი ვიყავი, რაშიც უდიდესი როლი შეასრულა თითოეულმა პიროვნებამ, რომლებიც ჩემს გვერდით

იყვნენ და დამეხმარნენ ჩემი უნარების განვითარებაში. არ შემიძლია არ ავღნიშნო იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც გავიცანი და უამრავი კარგი მოგონება დავაგროვე. წლევანდელი საზაფხულო ბანაკი გამორჩეული გახლდათ, რადგან ლიდერებმა უდიდესი შრომა ჩავდეთ, რომ ეს ხუთი დღე გამორჩეული ყოფილიყო ბანაკის მონაწილეებისთვის. მინდა ასევე უდიდესი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა ამ დღეების გალამაზებაში, გახადა ეს დღეები კიდევ უფრო მეტად მრავალფეროვანი, საოცარი და, რა თქმა უნდა, შთამბეჭდავი.

გიგა კვატაია, სიქთარვის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე. სიქთარვაში, როგორც მოგეხსენებათ, ყოველწლიურად საზაფხულო ბანაკი ეწყობა, რომელშიც უამრავი ბავშვი ღებულობს მონაწილეობას. ტრადიციულად იგივე ბანაკი წელსაც ჩატარდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან დასამახსოვრებელი და ამავდროულად საუკეთესო ბანაკი იყო, ლიდერობა კი განსაკუთრებული გამოცდილება. ბანაკის ძირითადი ამოცანებია რომ ბავშვს შესძინოს მეტი მეგობარი და მიიღოს განათლება, რაც ჩემი გუნდის თითოეული წევრის შემთხვევაში შესრულდა. ბანაკის განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი მყავდა და თითოეული გუნდის წევრი კმაყოფილი დარჩა. დასახული მიზანი შესრულებულია, ამაზე კარგი რამ არ არსებობს.

სასექტემბრო ზარი

დაიხურა ბანაკი და მოახლოვდა სექტემბერი, დრო სწავლის განახლების, ამ დღისათვისაც დაიწყო სკოლამ მზადება და დაირეკა სასექტემბრო ზარი.

140 მოსწავლით, მათ შორის 14 პირველკლასელით დაიწყო სასწავლო წელი, შვენოდათ ერთიანი სასკოლო ფორმა, საზეიმო დღე იყო არა მარტო მოსწავლეებისათვის, მშობლებისა და მასწავლებლებისათვის, არამედ მთლიანად სოფლისათვის. განსაკუთრებული იყო 16 სექტემბერი, როგორც ია კვატაიამ თქვა—„ყოჩაღი, თამამი, ლამაზი“ პირველკლასელებისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, მაჟორიტარმა დეპუტატმა ჯემალ ისაკაძემ, მერის წარმომადგენელმა სოფელში გიზო ხანიაშვილმა, მერიის თანამშრომელმა სოფო ჩუბინიძემ პირველკლასელებს მერიის საჩუქარი—საბავშვო ენციკლოპედია გადასცეს და ახალი სასწავლო წელი მიულოცეს მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებს, განსაკუთრებით კი პირველკლასელებს.

ჟუჟუნა ცხადაძე

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ
კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**
აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33
ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872